ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2940163

ნომერი: AR1451715

თარიღი : 26.10.2016

გაცემის თარიღი : 10.11.2016

გაცნობის თარიღი : 10.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ. დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლანა ქაჯაია პ/ნ 58001013011
- თბილისი საბურთალოს ქ. N 26 ბ. 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1451715 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, დიდი დიღომი, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. # 01.72.14.040.657) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 30 სექტემბერს #AR1445251 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, 2016 წლის 28 ოქტომბერს #2916664 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, დიდი დიღომი, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. #01.72.14.040.657) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ამასთან გაცნობებთ, რომ #01.72.14.040.657 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ #2916664 ბრძანება გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო.
